დღეს გაიხსნება თბილისის XXXII საქალაქო პარტიული კონფერენცია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 35 (13429) | პარასკევი, 11 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი მხურვალე სალამი კონფერენციის დელეგატებს!

• ვინც შრომით ისახელა თავი •

ერევნელი ბიბლიოთეკა

იანვარში თბილისელებმა დიდი სიხარული იზეიმეს. ამის მიზეზი ჩვენი სახელოვანი გვირაბმშენებლები იყვნენ, რომლებმაც საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლებს უძღვნეს მეტროპოლიტენი — ყველაზე პროგრესული და ყველაზე საიმედო ჩქარაოსნული საქალაქო ტრანსპორტი.

მეტროპოლიტენი ჭეშმარიტად არის ჩვენი ქალაქის მშვენება და მის მშენებელთა სიამაყე. მიუხედავად ყამირის წყალთა უხვი ნაკადებისა და რთული გეოლოგიური ვითარებისა ქართველმა გვირაბმშენებლებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს.

სხვებთან ერთად ამ საშვილიშვილო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გ. ობოლაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმაც. ბრიგადას ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა. მიუხედავად ამისა მან მიაღწია ისეთ კარგ მაჩვენებელს, როგორიც არის ყოველდღიურად 80 გრძივ მეტრამდე გვირაბის სრული პროფილით გაყვანა. ამ წარმატებისათვის ბრიგადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდეს.

დღეს მუშაობას შეუდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXII კონფერენცია, რომლის დელეგატია გ. ობოლაძე.

• • •

სურათზე: გ. ობოლაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დედაქალაქის პანგარდი

ცხოვრება დღის წესრიგში ყოველთვის ახალ პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს. ისინი კი თავის მხრივ დიდ მოთხოვნებს უყენებენ კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს. პარტიული მუშაობა და პარტიული ხელმძღვანელობა მთლიანად, სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებას. ამ მუშაობაში განსაკუთრებით ახლა, ყველგან უნდა გამოჩნდეს ადამიანთა ინიციატივა, ძიება, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, პრინციპული, პარტიული მომთხოვნელობა.

ეს ახალი პასუხსაგები ამოცანები კი კარგად არის ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში, რომლებმაც ფართო გზა გაუხსნეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის უფრო ნაყოფიერ, შემოქმედებითს მოღვაწეობას.

და აი დღეს თბილისის კომუნისტთა რჩეულები მორიგ პარტიულ კონფერენციაზე მოდიან თავიანთი მოვალეობის იქ მაღალი შეგნებით, რომ გამართონ დიდი, საღი და საქმიანი სჯა-ბაასი პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მიმდინარეობაზე, შეაფასონ პარტიული საქალაქო კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, დასახონ მომავალი მოღვაწეობის უფრო გაბედული და მოფიქრებული გეგმები.

რით მოვიდნენ თბილისელი კომუნისტები თავიანთ პარტიულ კონფერენციაზე?

საანგარიშო პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ადამიანთა დარაზმვა, მათი აქტივობის ამაღლება შვიდწლედის დასვლეთათა მთლიანად და ადამდე შესრულებისათვის. აი შეიგეგიც: თბილისის მრეწველობამ 6 წელსა და 9 თვეში, როგორც ეს სოციალისტური შეჯიბრებით იყო ნაკისრი, ვადამდე შეასრულა სამრეწველო წარმოების მოცულობის შვიდწლედის გეგმა, ამასთან პროდუქციის გამოშვება 60 პროცენტით და მეტად გაზარდა. ვადამდე შესრულდა გასული წლის დავალებაც.

აშენდა და მწყობრში ჩადგა ათობით ახალი საწარმო.

სულ უფრო ფართოვდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, რომელშიც ახლა 70 ათასზე მეტი შრომელი მონაწილეობს. დედაქალაქში უკვე კომუნისტური შრომის 8 საწარმოა. სამრეწველო კოლექტივები ამაყობენ თავიანთი მოწინავე ადამიანებით, რომლებიც კომუნისტური შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან.

საანგარიშო პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციების დიდი ყურადღება კვლავ მიმართული იყო ადამიანისადმი, მისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი. ყოველწლიურად კეთილმოწყობილი ხდება თბილისის ქუჩები და მოედნები, შენდება ახალი პარკები და ბეივნები, საცხოვრებელი ბინები, სკოლები, ბაღები და ბაღები, საავადმყოფოები, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სავაჭრო დაწესებულებები...

ზუსტად ერთი თვის წინ კი მშრომელებმა შეტად დიდი საჩუქარი მიიღეს — მწყობრში ჩადგა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგი.

და ეს მიღწევები თავისით როდი მოვიდა. იგი მოპოვებულია ადამიანთა დაუღალავი ენერგიით, რომელიც სწორად და მიზნობრივად წარმართეს თბილისის ბრავალრიცხოვანმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

უკანასკნელ ხანს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციის ბევრი კარგი თაოსნობა და ინიციატივა დაიბადა, რამაც უფრო სასხლსავსე და ნაყოფიერი გახადა კომუნისტთა კოლექტივების მოღვაწეობა. ფართოდ განვითარდა პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისები. პარტიულ ორგანიზაციებთან, პარტიულ კომიტეტებთან აქტიურად მოქმედებენ საზოგადოებრივი საბჭოები, ნაყოფიერებანი, კომისიები და კომიტეტები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობს ათი ათასზე მეტი კომუნისტი. ამაღლდა პარტიული ჯგუფებისა და საამქროთა პარტიული ორგანიზაციების როლი.

ბევრი სასარგებლო ღონისძიება დაისახა და განხორციელდა მშრომელთა იდეური აღზრდისათვის, რისთვისაც პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო ფართოდ იყენებენ პოლიტიკური განათლების ქსელს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ქალაქის რევოლუციურ ტრადიციებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ნაყოფიერად განშალა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა.

აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებამ კი თავის მხრივ კეთილსასურველი გავლენა მოახდინა კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

და მაინც, როგორც ეს ამ დღეებში გამართულმა დედაქალაქის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციებმა გვიჩვენა, თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს უამრავი რეზერვი და საშუალებები აქვთ იმისათვის, რომ უფრო წარმატებით გადაწყვიტონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სასიცოცხლო ამოცანები.

როგორც კომუნისტები აღნიშნავდნენ, ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებ ბრძოლისუნარიანია, არის ფორმალიზმის ფაქტებიც. განსაკუთრებით ეხება ეს აღმზრდელობითს მუშაობას. სერიოზული ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების დარგში, სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობაში.

საერთო მიღწევათა ფონზე აგრეთვე უსიამოვნო ჩრდილად მოჩანს ზოგიერთი საწარმოს ცუდი მუშაობა. სამწუხაროდ, ჩამორჩენილთა რიგებში არიან ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა, საშენ მასალათა კომბინატი და სხვები. ზოგიერთ საწარმოში კვლავ ხშირია მანქანებისა და მოწყობილობის მოცდენა, დაბალია შრომის დისციპლინა. პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები კი ყველგან როდი იჩენენ საჭირო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას.

საწარმოების უფლებათა გაფართოებასთან და მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო საფუძვლიანად უნდა მოკიდონ ხელი წარმოების საკითხებს, უზრუნველყონ მეურნეობის გაძღოლის ეკონომიური მეთოდების სწორად გამოყენება.

ნაკლოვანებათა დროული გამოსწორება, ახალ წარმატებათა მოპოვება ყველა უბანზე — აი რით უნდა შეხვდნენ თბილისელი კომუნისტები სკკპ XXIII და საქართველოს კპ XXIII ყრილობებს.

ეჭვი არ არის, რომ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია თავის მორიგ კონფერენციაზე საქმიანად, პრინციპულად და მაღალ დონეზე განიხილავს ცხოვრების მომწიფებულ საკითხებს, მიიღებს საქმიან და საღად მოფიქრებულ ღონისძიებებს, რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ ქალაქის კომუნისტთა აქტივობას.

საბჭოთა ხალხს ულოცავენ

ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინს კვლავ მოსდით მოსალოცი დეპეშები იმის გამო, რომ მთავრეს წარმატებით დაჯდა ავტომატური სადგური „ლუნა-9“.

დეპეშები გამოგზავნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო შიმინმა, განის პრეზიდენტმა და მთავრობის მეთაურმა კვამე ნკრუმამ, მაგრიტანიის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოქთარ ულდ დადამ, ლიბერიის პრეზიდენტმა უილიამ ტუბმანმა, დაჰომეის პრეზიდენტმა გენერალმა სოგლომ, საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტეფანეს სტეფანოპულოსმა, ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურმა ჯ. ტ. აგიი-ირონსიმ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე გულითადი მოსალოცი დეპეშები გამოგზავნეს ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დოლორეს იბარურიმ, კვიდელუპის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ქენნა, ლიბანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ისრაელის კომუნისტებმა. (საკდესი).

• საკდესის ცნობა •

მიფრინავს „კოსმოსი-107“

1966 წლის 10 თებერვალს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-107“ მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის სიხშირე პერიოდი — 89,7 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 322 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 204 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც 19,995 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს, რადიოსიგნალები ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიო-ტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საგჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი დახმარება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს დეპეშა გამოუგზავნა იმის გამო, რომ წარმატებით დამთავრდა სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციათა მოლაპარაკება და რომ დაიდო შეთანხმებანი ამ ორ ქვეყანას შორის.

შეთანხმებათა დადებით, ნათქვამია დეპეშაში, საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში, რათა წარმატებით მოიგერიოს ამერიკელი აგრესორები.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის სახელით ფამ ვან დონგმა გულწრფელი მადლობა გადაიხადა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მხარს უჭერენ და ეხმარებიან ვიეტნამელი ხალხის სამართლიან და ძლეგამოსილ ბრძოლას ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის. (საკდესი).

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები მშრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად. პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. კიკნაძემ.

მოხსენების გამო გაიმართა ქამათი. მონაწილეობდნენ აპარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე მ. ეკიზაშვილი, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე მ. გამყრელიძე, აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანი ი. ქეცბა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე მ. მაღრაძე, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. გოგიაშვილი, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რ. ცხოვრებოვი და სხვები.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ფრუნძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ შ. გაგოშიძემ, საკავშირო პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილების გამგემ ი. ტურკინმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXII კონფერენციას, რომელიც დღეს შეუდგება მუშაობას, ახალი შრომითი წარმატებით ეგებება თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. მანიანვარში საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 2 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს.

დამკვეთებს — ერევანში, დონის როსტოვში, აშხაბადსა და სხვ. გეგმის გადამეტებით გაეგზავნათ თბილისური მარკის ყურძნის ცენტრადანული კლერტგამცლელი თერმომეტი მანქანა.

წლის დასაწყისიდანვე შრომის კარგი სტარტი აიღო კომუნისტური შრომის ვ. ხერხუაშვილის ამწყობმა ბრიგადამ, რომელმაც იანვრის დავალება გადაჭარბებით გაანაღდა. დაწინაურდნენ ასევე ა. ჩარიბიანის და ა. ჩოლოკავას ბრიგადები.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა შორის სკკპ XXIII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ფაბრიკა. ამ ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულა და გეგმის გადამეტებით 10 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მომხმარებელმა დამატებით მიიღო პლასტმასის ნაკეთობათა დიდძალი ფართო მოხმარების საგნები.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. ახალი ტექნიკის დანერგვითა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს 2,5 პროცენტით გადააჭარბა.

ფაბრიკის კოლექტივმა შრომით მოპოვებული ეს წარმატება მიუძღვნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXII კონფერენციას.

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲬᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ტაშკენტი, 10 თებერვალი. (საკდესი). ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ ჰაშიმ მეცხრამეტე დღეს დილით საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში გაემგზავრა.



მეტროპოლიტენის სადგურ „მარჯანიშვილის მოედანზე“ ვაგონები გაგზავრებით აივსო. აი ნიშანი მისცა მემანქანის მატარებლის შემადგენლობის მილება-გაშვების მორიგე ზამირა თედეიკამ და ცისფერი ექსპრესიც შურდულივით წინ გაიჭრა.

ფოტო ს. ონანოვისა.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მომზადების ერთწლიანი სკოლები, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებად 78 სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელში.

ამ ფაკულტეტებზე აუცილებლად უნდა იყოს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მომზადების განყოფილება 6 თვის სწავლების ვადით და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ვადით 3 თვის სწავლების ვადით.

ერევნის, კუიბიშევის, ნოვოსიბირსკისა და ხარაოვის სასინფორმაციო-სამშენებლო ინსტიტუტებში იქმნება სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სამთვიანი მუდმივმოქმედი ფაკულტეტები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე, აგრეთვე სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე ძირითადი ამოცანაა მსმენელთა ცოდნის დონის ამაღლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის, ქიმიზაციის, მელიორაციის, მექანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასოფლო მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში მეცნიერების, ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების შესწავლის საფუძველზე.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მომზადების განყოფილებებზე მიიღებიან 45 წლამდე ასაკის, უპირატესად უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე პირები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მოადგილეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა მოადგილეები, განყოფილებათა მმართველები, ფერმების გამგეები, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში და აქვთ კარგი ორგანიზატორული ნიჭი და სოფლის მეურნეობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, რომელთა გამოყენება სწავლის დამთავრების შემდეგ შეიძლება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილებებზე და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე სავალდებულოა ერთ-ერთ უცხოურ ენაზე ლექციების მოსმენა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან, სამედიცინო-საკვლევ ინსტიტუტებთან, საცდელ და მანქანათსამოსცდელ სადგურებთან და სხვა ორგანიზაციებთან არსებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გარდაქმნან სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებად.

ამ სკოლებში კვალიფიკაციას აიმაღლებენ საშუალო განათლების მქონე მუშაკები: აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ფერშლები, მექანიკოსები, ტექნიკოსი მშენებლები, ჰიდროტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველები, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები და მეცხოველეობის ფერმების გამგეები, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკოსფლტექნიკის“ საწარმოებისა და ორგანიზაციების, მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის სამინისტროთა ამ ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო მშენებლობას, და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკები.

სოფლის მეურნეობის და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტებისათვის სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებში სწავლის **გადა დაწესებულია 2 თვემდე, ხოლო** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისათვის, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირებისა და მეცხოველეობის ფერმების გამგეებისათვის — 3 თვემდე.

სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლების მსმენელთა კონტინგენტსა და ქსელს აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

დადგენილია, რომ სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლების მსმენელებს ეძლევათ თავიანთი სამუშაო ადგილის სამუალო თვიური ხელფასი.

კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ ამ სკოლებში მოსწავლე კოლმეურნეებს შეუნარჩუნონ შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება.

გარდა ამისა, სკოლების მსმენელებს დამატებით მიეცემათ სახელმწიფო სტიპენდია თვეში 40 მანეთის ოდენობით.

სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლების ხელმძღვანელობა დაკისრა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, შრომელთა დეპუტატების სამხრეთ და სოფლის საბჭოებს: აღმასკომებს, ხოლო სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან გახსნილი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიანი დაუსწრებელი ეკონომიური ფაკულტეტების მსმენელებს ეძლევათ დამატებითი შვებულება ზამთრისა, სესიის, ჩათვლებისა და გამოცდების დროს 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით და ამასთან ენახებათ ხელფასი სამუშაო ადგილის.

კოლმეურნეობებს წინადადება ეძლევათ წამმართველი სესიის, ჩათვლებისა და გამოცდების დროს დააწესონ იმ კოლმეურნეებისათვის შვებულების მიცემის ახალი გეგეური წესი. რომლებიც ამ ფაკულტეტებზე სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი ვალდებული არიან მოაწყონ სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა აღნიშნული ფაკულტეტებისა და სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებისათვის.

მთვარეზე პირველია საბჭოთა ლაბორატორია!

„მთვარის — კვირეული", რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო 3 თებერვლის იმ ღირსსახსოვარ საღამოდან, როცა ზუსტად განრიგების მიხედვით 21 საათზე 45 წუთსა და 30 წამზე მოსკოვის დროით საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-9"-მ განახორციელა რბილად დაჯდომა მთვარის ზედაპირზე. 10 თებერვალს დამთავრდა საბჭოთა და უცხოელი უურნალისტების პრეს-კონფერენციით, რომელიც მოსკოვის მეცნიერთა სახლში გაიმართა.

ამ კვირის ყოველი დღის ახალ-ახალი მოვლენები გვაოცებდნენ, იწვევდნენ აღტაცებას ადამიანის გენიის სიდიადით, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დაუშრეტელი შემოქმედებითი შესაძლებლობებით, ჩვენი ხალხით, რომელიც ნამდვილ სასწაულებს ახდენს.

უყურებდნენ რა მთვარის ლანდშაფტების ფოტოსურათებს, რომლებიც მიღებულია ამ ლანდშაფტებთან უშუალო შეხების პირობებში, სატელევიზიო გადაცემებს, რომლებსაც თითქოს გადავუვდით მთვარის ცივ და მკაცრ სამყაროში, ადამიანები ეკითხებოდნენ თავიანთ თავს: „როგორ გახდა შესაძლებელი ეს?", „რა აუწყა მთვარემ მოსკო

ასე ფიქრობენ, ასე შრომობენ დედაქალაქის კომუნისტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკობენ კონფერენციის დელეგატები

მიწისქვეშა მაგისტრალებზე

თბილისელებს უყვართ თავიანთი მეტრო, სიამოვნებით სარგებლობენ მისი მომსახურებით და პატივს სცემენ მეტრომშენებელთა საპატიო შრომას.

მე ერთ-ერთი იმ მემანქანეთაგანი ვარ, რომლებმაც პირველი მგზავრები გადაიყვანეს.

ახლა ჩვენს კოლექტივში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. სამსახური სამსახურს, ცვლა ცვლას, მემანქანე მემანქანეს ეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თბილისის კომუნისტთა კონფერენციაზე, რომლის დელეგატიც მე ვარ, გარკვეული ადგილი დაეთმობა საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას. აქ აღნიშნავენ მილწევებს, იტყვიან ნაკლოვანებებზეც, რასაც, კერძოდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ ახალ საქმეში, როგორიც ჩვენი მეტროა. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მეტროპოლიტენის კოლექტივი დღითიდღე გააუმჯობესებს მუშაობას და უფრო დაიმსახურებს მგზავრთა მადლობას.

ნ. ლაცაბიძე,
თბილისის მეტროპოლიტენის პირველი მატარებლის მემანქანე.



ნინასაყრილობო დღეებში

კომუნისტებმა მაღალი ნდობა გამოიცხადეს — საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატად ამირჩიეს. თბილისელ კომუნისტთა კონფერენციაში მონაწილეობა ჩემთვის ცხოვრების დიდი სკოლაა. დელეგატები ყოველმხრივ განიხილავენ ჩვენი საყვარელი დედაქალაქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დღევანდელ მდგომარეობას, დასახავენ ახალ წარმატებათა მოპოვების გზებს.

ჩემი წვლილი. შვიდი წელია, რაც მე-6 სამკერვალო ფაბრიკის მუშად ვმუშაობ, ამგვე დროს ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მე-3 კურსზე.

ჩვენი საამქრო საექსპერიმენტოა. აქ იბადება მამაკაცის პიჯაკის ფასონი, ზუსტდება თარგი, რის შემდეგაც იგი გადაეცემა საგამშვებელო საამქროს, სადაც როგორც სარკეში, ჩანს ჩვენი მუშობის იკარგი. მაგრამ გამომჭრელები როდი გვემდურიან. საექსპერიმენტო საამქრო ერთ-ერთი მოწინავეა ფაბრიკაში. იგი გეგმებს გადამეტებით ასრულებს. კომუნისტები მასების სათავეში არიან. ისინი შემოქმედებითი შრომის, ინიციატივისა და აქტივობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან.

ჩვენი საწარმო ქალაქში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის სამრეწველო კოლექტივების მოწოდებას და გაიჩაღა ბრძოლა ფაბრიკის კროფუქციის მსოფლიო სტანდარტების დონემდე ასაყვანად.

ფაბრიკაში ენერგიულ შრომას კარგად ვთავსებ პარტიულ დავალებათა პირნათლად შესრულებასთან. ვარ პარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის წევრი. ვეწევი პროპაგანდისტულ მუშაობასაც.

ამ დღეებში ჩვენი კოლექტივი სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კპ XXIII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას.

ნ. ცხვედიანი,
თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის მუშა.

მხოლოდ მაღალი ხარისხი!

ქერამიკული კომბინატის კომუნისტები ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ხუთწლედისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია ჩვენი ბრიგადაც, რომელიც მხატვარ-შემსრულებლებს აერთიანებს.

ჩვენი კომბინატი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებშია. მას ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის საპატიო სახელი. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა დაგვანახვა, რომ თვით ამ მოწინავე საწარმოშიც ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. ამიტომ კომბინატის პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები სახავენ ახალ წარმატებათა მიღწევის გზებს. ისინი ცდილობენ, რომ ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქცია „მხოლოდ მაღალი ხარისხისა იყოს, იბრძვიან ეკონომიისა და ყირათიანობისათვის. პარტიბიურო შრომის საუკეთესო მაგალითებზე ზრდის კომბინატის მთავარ ძალას — ახალგაზრდობას. კოლექტიური ხელმძღვანელობის ამ ორგანოს მრავალმხრივ მოღვაწეობაში მეც შემაქვს ჩემი წვლილი, როგორც მის წევრს.

მხატვარ-შემსრულებელის პროფესიაზე, რომელსაც მე ვარ დაუფლებული, ჩვენთან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ მეამაყება, რომ კომბინატის პროდუქცია (ლარნაკები, სასმისები, დოქები, სურები, ჭინჭილები და სხვ.) როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ დიდი მოწონებით სარგებლობს.

ახლა ჩვენი საამქრო მუშაობს რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის ახალი პროდუქციის შესაქმნელად. ეს დიდი, საპატიო საქმეა და მას წარმატებით დავაგვირგვინებთ.

მ. აბუთიძე,
თბილისის კერამიკული კომბინატის მხატვარ-შემსრულებელი.

შემოქმედებითს ძიებაში

ბოლოდ ერთი ფიქრი და გრძნობა ამოძრავებს ჩვენს კოლექტივს: მხარში ამოვუდგეთ სოფლის მეურნეობის მუშაკებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებაში, რაც თვით ცხოვრებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის ინტერესებით, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი.

ჩვენი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი მრავალი მანქანა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა პლანტაციებში მუშაობს. ათობით მადლობის წერილი მოგვდის ადგილებიდან. მაგრამ კომუნისტებს, რომლებიც ჩვენი კოლექტივის წამყვან ძალას წარმოადგენენ, მიღწეულით დაკმაყოფილება არ სჩვევიათ. ისინი ახლა შემოქმედებითი ძიებით არიან გართულნი. გადაწყვეტილი გვაქვს პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად ვადაზე ადრე შეგასრულოთ მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალებანი. კონსტრუქტორთა კოლექტივი ყრილობის გახსნის დღისათვის დამზადებულ ტრაქტორ „ტ-25“-ის სამთო პირობებში მუშაობისათვის მოდიფიკაციის ტექნიკურ დოკუმენტაციას.

კონსტრუქტორი კომუნისტები შ. ნაზღაიძე, შ. კვანტალიანი, ს. დარჯანია, თ. ჭეიშვილი, კ. ძაგანია, ნ. კოსტავა, გ. ცხაკაია, ნ. ჭყონია და სხვები ბევრი ახალი გამოგონებისა და სიახლის ავტორები არიან.

მე, როგორც პარტბიურის წევრი და პოლიტეკონომიის სემინარის ხელმძღვანელი, ვცდილობ, რომ თვითეული კომუნისტი, კოლექტივის ყოველი წევრი ღრმად დაეუფლოს მეცნიერების უახლეს მიღწევებს, ყოველდღიურად იმაღლებდეს იდეურ დონეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ახალი წარმატება პერსპექტივები დაგვიხსნა. ჩვენც დიდი რწმენით და ძალების დაუზოგავად ვშრომობთ პარტიის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

გ. გორდეზიანი,
სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი.

ახალი ჰორიზონტები

თბილისის ხვალინდელი დღე

ყოველი მხრიდანაც უნდა შეხვიდეთ საქართველოს დედაქალაქში, თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს ახალ სამშენებლო მოედნებზე აღმართული უამრავი ყაზარკვრა ამწეები, სხვადასხვა სტადიაში მყოფი მშენებლობები და საცხოვრებელი სახლების ახალი კვარტალები. ყველგან, თბილისის ყველა რაიონსა და უბანში, ძველთაძველ ნარიყალასა თუ ორთაჭალაში, დიღომში თუ საბურთალოზე, ყველგან იგრძნობა ჩვენი ქალაქის განახლებისა და წინსვლის გოლიათური ნაბიჯები; ყოველდღიურად მშვენდება და შენდება, ფართოვდება და იზრდება თბილისი. თუ 1921 წელს მისი ტერიტორია მხოლოდ 2.770 ჰექტარს შეადგენდა, 1965 წლისათვის 26.070 ჰექტარს მიაღწია, ე. ი. თითქმის ათჯერ გაიზარდა.

ჩვენი სახელოვანნი მშენებლების დაუღალავი შრომის შედეგად ამ უკანასკნელ წლებში დედაქალაქს შეემატა ბევრი ახალი მონუმენტური შენობა, უნიკალური საინჟინრო ნაგებობა, სამრეწველო და კომუნალური საწარმო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო, სამედიცინო და კულტურული დაწესებულება. თბილისმა თანამედროვე დიდი ქალაქის შესაფერი იერი მიიღო.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი ქალაქის საბინაო ფონდი, რომლის უდიდესი ნაწილი მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. თუ 1926 წელს ქალაქის მთელი საცხოვრებელი ფართობი 2.869 ათას კვადრატულ მეტრს უდრიდა, 1956 წლისათვის 5.400 ათას კვადრატულ მეტრს მიაღწია, ხოლო გასულ შვიდწლედში საბინაო ფონდის ნამატმა, კოოპერაციული ბინათმშენებლობის ჩათვლით, 1 მილიონ 250 ათასი კვ. მეტრი შეადგინა.

გასული წლის დამლევისათვის დამთავრდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობა დიღმის ხიდამდე, რითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა თბილისის უდიდესი მაგისტრალური ქუჩა მტკვრისა და დიდუბის ხიდებს შუა. დამთავრდა გზის მშენებლობა ვაკის პარკიდან კუს ტბამდე. საექსპლოატაციოდ გადაეცა ერთ-ერთი საუკეთესო ზამთრის საკურორტო აუზი ვაკეში. ოქტომბრის რევოლუციის 48-ე წლისთავისათვის დედაქალაქის მშრომელებს საჩუქრად გადაეცათ მეტად რთული და უნიკალური საინჟინრო ნაგებობა — ბარათაშვილის სახელობის ორსართულიანი ხიდი მტკვარზე.

თბილისი მეტად სწრაფად მზარდი ქალაქია. თუ 1897 წლის აღწერის მიხედვით თბილისში აღრიცხული იყო 160 ათასი მცხოვრები, ახლა საქართველოს დედაქალაქში 825 ათასზე მეტი მცხოვრებია. მოსახლეობის ასეთმა ინტენსიურმა ზრდამ, თბილისის თავისებურმა, რთულმა რელიეფმა, საქალაქო უბნების გადაჭიმვამ ათობით კილომეტრზე და განივი მოძრაობის შეზღუდულობამ გამოიწვია მიწისზედა საქალაქო ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის საგრძნობი შეფერხება, მაგისტრალების გადაგვირთვა ტრამვაის ვაგონებით, ავტობუსებით, ტროლეიბუსებით, ავტომანქანებისა და მგზავრთა განუწყვეტელი ნაკადით.

ცხადი გახდა, რომ მიწისზედა ტრანსპორტი ვეღარ დააკმაყოფილებდა დედაქალაქის გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ დღის წესრიგში დადგა მგზავრთა ჩქარსწრული გადაყვანის უფრო ეფექტური საშუალების გამოსახვა.

და თბილისს უკვე აქვს ყველაზე პროგრესული და საიმედო საქალაქო ტრანსპორტი,— მეტროპოლიტენი.

ახლახან თბილისის საქალაქო საბჭოს სესიამ დაამტკიცა საქალაქო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმა.

მთავარი ამ გეგმაში საბინაო ფონდის შემდგომი ზრდაა. ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია გამოიყოს 34.739 ათასი მანეთი, რაც კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 54,5 პროცენტს შეადგენს. 254.400 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებს დედაქალაქის მოსახლეობა ხუთწლედის პირველ წელს, ანუ 35,5 პროცენტით მეტს, ვიდრე წარშარ. გარდა მასიკეთებისა საბინაო მშენებლობა იწარმოებს ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში. მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალი სახლების სართულიანობა, ძირითად საკედლე მასალად გამოყენებული იქნება მსხვილი ბლოკები და პანელები, მკვეთრად შემცირდება აგურის გამოყენება.

აშენდება ხუთი ახალი სკოლა, 16 საბავშვო ბაღი-ბაღა. დამთავრდება მე-2 და მე-8 საავადმყოფოების გაფართოების სამუშაოები. ამიტომ დღის წესრიგში დადგა მგზავრთა ჩქარსწრული გადაყვანის უფრო ეფექტური საშუალების გამოსახვა.

დიდი სამუშაოები შესრულდება ქალაქის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. მისი განვითარებისათვის გათვალისწინებულია 70 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე წარშან. გაგრძელდება ჰოპორტ-მისაქციელის წყალსადენის მშენებლობა, ბულაჩაურის წყალსადენის გაფართოების სამუშაოები, საგურამოში აშენდება სატუმბავი სადგური, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 26.500 კუბური მეტრი საერთო ტევადობის რეზერვუარები — ზემო ვაკეში, დიღომში და იყალთოს მთაზე. ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად 1966 წელს ქალაქისათვის წყლის მიწოდება წამში 700-800 ლიტრით გაიზრდება, ხოლო წყალსადენის ქსელი 38 კილომეტრით გადიდდება.

გაყვანილ იქნება 45 კილომეტრი ქუჩის გაზსადენი, ჩაეგადება 10,5 კილომეტრი თბოქსელი, აშენდება 7 ახალი კვარტალური საქვაბე, გადიდდება 6 მოქმედი საქვაბის სიმძლავრე, გაზიფიცირებული იქნება ბუნებრივი და თხევადი გაზით 16 ათასი ბინა, განსორციელდება 202 კომუნალური საცხოვრებელი სახლის თბოფიკაცია, ხოლო 20 საცხოვრებელ სახლში გაყვანილი იქნება ცხელი წყალი.



ქალაქში გაიხსნება საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ათობით ახალი მაღაზია და საწარმო. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის „სავაჭრო მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ყველი მომარაგება შესრულდება ქალაქის ტერიტორიაზე მოყვანილ ბოსტნეულსაყოფად. მისი განვითარებისათვის გათვალისწინებულია 70 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე წარშან. გაგრძელდება ჰოპორტ-მისაქციელის წყალსადენის მშენებლობა, ბულაჩაურის წყალსადენის გაფართოების სამუშაოები, საგურამოში აშენდება სატუმბავი სადგური, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 26.500 კუბური მეტრი საერთო ტევადობის რეზერვუარები — ზემო ვაკეში, დიღომში და იყალთოს მთაზე. ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად 1966 წელს ქალაქისათვის წყლის მიწოდება წამში 700-800 ლიტრით გაიზრდება, ხოლო წყალსადენის ქსელი 38 კილომეტრით გადიდდება.

გაყვანილ იქნება 45 კილომეტრი ქუჩის გაზსადენი, ჩაეგადება 10,5 კილომეტრი თბოქსელი, აშენდება 7 ახალი კვარტალური საქვაბე, გადიდდება 6 მოქმედი საქვაბის სიმძლავრე, გაზიფიცირებული იქნება ბუნებრივი და თხევადი გაზით 16 ათასი ბინა, განსორციელდება 202 კომუნალური საცხოვრებელი სახლის თბოფიკაცია, ხოლო 20 საცხოვრებელ სახლში გაყვანილი იქნება ცხელი წყალი.

ქალაქის ბაზარი ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის „სავაჭრო მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

დიდი სამუშაოები შესრულდება ქალაქის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. მისი განვითარებისათვის გათვალისწინებულია 70 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე წარშან. გაგრძელდება ჰოპორტ-მისაქციელის წყალსადენის მშენებლობა, ბულაჩაურის წყალსადენის გაფართოების სამუშაოები, საგურამოში აშენდება სატუმბავი სადგური, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 26.500 კუბური მეტრი საერთო ტევადობის რეზერვუარები — ზემო ვაკეში, დიღომში და იყალთოს მთაზე. ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად 1966 წელს ქალაქისათვის წყლის მიწოდება წამში 700-800 ლიტრით გაიზრდება, ხოლო წყალსადენის ქსელი 38 კილომეტრით გადიდდება.

გაყვანილ იქნება 45 კილომეტრი ქუჩის გაზსადენი, ჩაეგადება 10,5 კილომეტრი თბოქსელი, აშენდება 7 ახალი კვარტალური საქვაბე, გადიდდება 6 მოქმედი საქვაბის სიმძლავრე, გაზიფიცირებული იქნება ბუნებრივი და თხევადი გაზით 16 ათასი ბინა, განსორციელდება 202 კომუნალური საცხოვრებელი სახლის თბოფიკაცია, ხოლო 20 საცხოვრებელ სახლში გაყვანილი იქნება ცხელი წყალი.

ქალაქში გაიხსნება საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ათობით ახალი მაღაზია და საწარმო. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის „სავაჭრო მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

დიდი სამუშაოები შესრულდება ქალაქის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. მისი განვითარებისათვის გათვალისწინებულია 70 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე წარშან. გაგრძელდება ჰოპორტ-მისაქციელის წყალსადენის მშენებლობა, ბულაჩაურის წყალსადენის გაფართოების სამუშაოები, საგურამოში აშენდება სატუმბავი სადგური, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 26.500 კუბური მეტრი საერთო ტევადობის რეზერვუარები — ზემო ვაკეში, დიღომში და იყალთოს მთაზე. ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად 1966 წელს ქალაქისათვის წყლის მიწოდება წამში 700-800 ლიტრით გაიზრდება, ხოლო წყალსადენის ქსელი 38 კილომეტრით გადიდდება.

გაყვანილ იქნება 45 კილომეტრი ქუჩის გაზსადენი, ჩაეგადება 10,5 კილომეტრი თბოქსელი, აშენდება 7 ახალი კვარტალური საქვაბე, გადიდდება 6 მოქმედი საქვაბის სიმძლავრე, გაზიფიცირებული იქნება ბუნებრივი და თხევადი გაზით 16 ათასი ბინა, განსორციელდება 202 კომუნალური საცხოვრებელი სახლის თბოფიკაცია, ხოლო 20 საცხოვრებელ სახლში გაყვანილი იქნება ცხელი წყალი.

ქალაქში გაიხსნება საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ათობით ახალი მაღაზია და საწარმო. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის „სავაჭრო მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ბინა სამ ოთახად, ბინა ოთხ ოთახად, ბინა ხუთ ოთახად — ასეთ ბინებს ააშენებენ ახალ ოთხსართულიან ბინებში. ბინა ოთხ ოთახად, ბინა ხუთ ოთახად — ასეთ ბინებს ააშენებენ ახალ ოთხსართულიან ბინებში. ბინა ოთხ ოთახად, ბინა ხუთ ოთახად — ასეთ ბინებს ააშენებენ ახალ ოთხსართულიან ბინებში.

მაისიდან მაისამდე

გუშინ თბილისის მეტროპოლიტენში

დღეს შესრულდა ერთი თვე იმ დღიდან, როდესაც მზისა და ვარდების ქალაქის, ჩვენი მშობლიური თბილისის მრავალსაუკუნოვან მიწის გულში ელვასავით გასრიალდა პირველი ცისფერი მატარებელი. დიახ, თბილისელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — მეტროპოლიტენი, ხოლო თვით თბილისი შიდასაქალაქო ტრანსპორტის განვითარების მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქალაქებს ამოუდგა გვერდში.

დიდი და დღემდე შეუნელებელია ჩვენთვის ამ მოვლენით გამოწვეული სიხარული. ამიტომ არის, რომ მეტროპოლიტენის ესკალატორებზე, ისარივით გატყორცნილი ცისფერი შემადგენლობის ვაგონებში, მრავლად ნახავთ ცნობისმოყვარე, მოსეირნე მგზავრებსაც.

მაგრამ განა მარტო მათ? ყველას, ვინც სისტემატურად სარგებლობს მიწისქვეშა მაგისტრალით, ვისაც უნახავს ჩვენი ქვეყნის სხვა მეტროპოლიტენებიც, აინტერესებთ, როგორ იღვწიან ჩვენი მეტროს მუშაკები, რა სიახლეა მათს საქმიანობაში, რა წარმატებებს მიაღწიეს ამ ერთი თვის განმავლობაში...

მოძრაობის სამსახურის სამატარებლო სადისპეტჩერო, როგორც იტყვიან, მეტროპოლიტენის გულია. გუშინ აქ გავიცანი უფროსი დისპეტჩერის მოვალეობის შემსრულებელი ინჟინერი აბესალომ გეგია. მორიგე დისპეტჩერი, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეექვსე კურსის სტუდენტი ილია სადაღაშვილი და ოპერატორი ანა ავტენი.

— ეს „ქრონიკის“ წიგნია, — მეუბნება ანა ავტენი. ამ წიგნში აღინუსხება ყოველგვარი დარღვევა, ან განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც მეტროპოლიტენის მუშაობაში მოსალოდნელია მოხდეს — იქნება ეს გვირაბებსა და სადგურებში განათების სისტემის მუშაობის დარღვევა თუ შემადგენლობის თუნდაც ერთი წუთით დაგვიანება. ჩვენთვის თვითეულ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

— როგორ იცავენ შემადგენლობის მემანქანეები მოძრაობის გრაფიკს? — ვეკითხები მე.

პასუხად მართვის პულტთან მიმიყვანეს. ი. სადაღაშვილს წინ მატარებლების ყოველდღიური მოძრაობის გრაფიკი ლიონ 700 ათასი მგზავრი, რაც დიდად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს. ამ ხნის განმავლობაში მოწინავე მემანქანეების ნ. ლაცაბიძის, ვ. ჭიკაშვილის, ვ. გერჩენოვის, ბ. ლევიძისა და სხვების მატარებლებმა გაიარეს 141 ათას 284 კილომეტრი. არანაკლებ საინტერესოა იმის გაგებაც, რომ ერთ დღეში მეტროში მომუშავე ოთხი შემადგენლობა 403 რეისს აკეთებს.

... მიეუჩდა ქალაქი, მიიხურა მეტროს სადგურების კარიც. მაგრამ მიწის გულში და მოძრაობის სამსახურის სამატარებლო სადისპეტჩეროში მუშაობა არ შემწყდარა. მართვის პულტიდან დისპეტჩერი კვლავ ხელმძღვანელობს ღამის სამეურნეო მატარებლის მუშაობას. ინსამდე საქმიანობენ აქ გვირაბის გასუფთავებაზე, ყველა სარემონტო სამუშაოზე, რომ ახალი დღის ახალ მგზავრებს გზა კეთილად დაულოცონ.

ო. არაგელიძე.



სურათზე: თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ვაგზლის მოედნის“ შესასვლელთან.

ფოტო ს. კილაძისა.

ციხისმწამებელთა სასამართლო

სასამართლო პროცესი ა. დ. სინიავსკისა და ი. მ. დანიელის სისხლის სამართლის საქმის გამო

10 თებერვალს მოსკოვში, რუსეთის სფსრ უმაღლეს სასამართლოში დაიწყო ღია სასამართლო პროცესი სსრ საბჭოთა მოქალაქეების ა. დ. სინიავსკისა და ი. მ. დანიელის საქმის გამო, რომლებიც მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. რა ბრალდება აქვთ მათ წაყენებული?

იმპერიალისტურ რეაქციას, ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში, რომელიც ამაოდ ცდილობდა ძალით, შეიარაღებული ბრძოლის გზით შეემუსრა სოციალიზმი, არ აუღია ხელი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებზე და ახლა მთავარ სამუალებად ხმარობს ძირგამომთხრელ მუშაობას იდეოლოგიური დივერსიების გზით. ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს სახელი გაუტეხოს სოციალისტურ საზოგადოებას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა და საბჭოთა ადამიანების თვალში, რისთვისაც არავითარ, ყველაზე საზიზღარ საშუალებასაც კი არ ერიდება. ამაგე მიზნით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პროპაგანდისტული ცენტრები აქტიურად იყენებენ ამ ცალკეული გარეწრების ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლურ თხზულებებს, რომლებსაც დასავლეთში საბჭოთა ლიტერატურის „ნამდვილ“ წარმომადგენლებად ასაღებენ.

ანტიკომუნისტურ პროპაგანდაში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლურ ნაწარმოებებს „სასამართლო მოღის“, „რა არის სოციალისტური რეალიზმი“, „ლუბიანკა“, რომლებიც დასავლეთში გამოქვეყნდა აბრამ ტერცის ფსევდონიმით, აგრეთვე „ლაბარაგობს მოსკოვი“, „ხელები“ და სხვა, რომლებიც დაიბეჭდა ნიკოლოზ არეაკის ფსევდონიმით.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ღონისძიებებით დადგენილია, რომ აბრამ ტერცის ფსევდონიმით დასავლეთში იბეჭდებოდა ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ანდრეა დონატის-ძე სინიავსკის ნაწერები, ხოლო ნიკოლოზ არეაკის ფსევდონიმით — მისი თანამონაწილის — მთარგმნელ იული მარკოზის-ძე დანიელის ნაწერები.

1965 წლის სექტემბერში სინიავსკისა და დანიელის მიმართ კანონის შესაბამისად დასსრ კავშირის გენერალური პროკურორის სანქციით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სინიავსკისა და დანიელს ასამართლებს რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლო. თავმჯდომარეობს რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ნ. სმირნოვი, სახალხო მსაჯულნი არიან ნ. ა. ჩეჩინა და პ. ვ. სოკოლოვი. სასამართლოს მდივანია ტ. ვ. ვორობიოვა.

სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწე ო. პ. ტემუჩინი. საზოგადოებრივი ბრალმდებლები არიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრები ა. ნ. ვასილიევი და ტ. ს. კედრინა.

დამცველნი არიან მოსკოვის ადვოკატთა საკალეგო კოლეგიის წევრები ე. მ. კოგანი და მ. მ. კისენმესკი.

...დილის 10 საათია. თავმჯდომარე სასამართლოს სხდომას გახსნილად აცხადებს. დარბაზში შემოყავთ განსასჯელნი სინიავსკი და დანიელი.

თავმჯდომარე არკვევს განსასჯელთა ვინაობას. სინიავსკი დაიბადა 1925 წელს მოსკოვში, დაპატიმრებამდე მუშაობდა ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. დანიელი დაიბადა 1925 წელს მოსკოვში. იგი მთარგმნელია.

თავმჯდომარის კითხვაზე განსასჯელებმა უპასუხეს, რომ საბრალდებო დასკვნის პირი მათ გადაეცათ.

ცხადდება სასამართლოს შემადგენლობა და იძლევიან განმარტებას აცილების უფლების შესახებ. განსასჯელნი სინიავსკი და დანიელი არ აძლევენ აცილებას სასამართლოს შემადგენლობას.

იწყება სასამართლო გამოძიება. სასამართლოს მდივანმა წაიკითხა საბრალდებო დასკვნა.

საქმის წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ სინიავსკი და დანიელი, რომლებსაც მტრული ანტისაბჭოთა პოზიცია ეკავათ, 1956 წლიდან წერდნენ და არალეგალურად გზავნიდნენ საზღვარგარეთ ცილისმწამებლურ ნაწარმოებებს, რომლებიც ჩრდ. სტოვბდნენ საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას.

მაგალითად, 1956 წელს სინიავსკიმ დაწერა მოთხრობა „სასამართლო მოღის“, რომელიც გამსჭვალულია სიძულვილით ყოველივე საბჭოურისადმი. იგი შეიცავს გამბორტყულ თავდასხმას მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ დებულებებზე, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაზე, საბჭოთა ადამიანების კულტურასა და მორალზე. იმავე წელს სინიავსკიმ საზღვარგარეთ გაგზავნა პასკვილი „რა არის სოციალისტური რეალიზმი“, რომელიც მიმართულია კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ, საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიურ ცხოვრებაში და შეიცავს ცილისმწამებლურ მონაგონრებს საბჭოთა სინამდვილის შესახებ.

თავისი ნაწერების საზღვარგარეთ გადასაგზავნად სინიავსკიმ ისარგებლა სსრ კავშირში საფრანგეთის ყოფილი სამხედრო-საზღვაო ატაშეა ქალიმენილთან ელენ ზამოისკაიასთან (პელტასთან) ნაცნობობით. მან პირველად გადასცა ეს ნაწერები 1956 წელს თავის მოსკოვის ბინაში და სთხოვა გამოექვეყნებინა საზღვარგარეთ აბრამ ტერცის ფსევდონიმით.

სინიავსკის ლიტერატურული ცილისწამებანი ხელი ჩასჭიდეს ბურჟუაზიულმა იდეოლოგიურმა ცენტრებმა და სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ ანტიკომუნისტურ პროპაგანდაში.

განსასჯელი დანიელი, იზიარებდა რა სინიავსკის ანტისაბჭოთა შეხედულებებს, არა თუ იწონებდა მის საქმიანობას, არამედ თავის მხრივ დაწერა ოპუსი „ხელები“, რომელიც ცილს სწამებს სოციალისტურ წყობილებას, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას.

1960 წლის შემოდგომაზე სინიავსკის იმავე ბინაზე დანიელმა ზამოისკაიას გადასცა ეს ხელნაწერი საზღვარგარეთ გამოსაქვეყნებლად. დანიელი გრნობდა თავის მოქმედების ანტისაბჭოთა მიზანდასახულობას, ცდილობდა დაემალა თავისი ნამდვილი სახელი. დანიელი და ამიტომ ფსევდონიმად აირჩია ნიკოლოზ არეაკი.

შემდეგში სინიავსკი და დანიელი განაგრძობდნენ ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლური ნაწარმოებების წერასა და გავრცელებას. 1961 წელს სინიავსკიმ დაწერა მოთხრობა „ლიუბიმოვი“, რომელიც მიმართულია სოციალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, და შესაფერისად შეაფასეს საბჭოთა წყობილების მტრებმა.

ამავე „შრომებისათვის“ უცხოეთის გამომცემლობანი უხვად აძლევდნენ მათ პონორარს.

თავის ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლური ხასიათის „ნაწარმოებებს“ სინიავსკი და დანიელი ავრცელებდნენ გარშემო მყოფთა შორის ხელნაწერებად. აგრეთვე საზღვარგარეთ რუსულ ენაზე გამოაქვეყნეს და სსრ კავშირში ზამოისკაიას მიერ არალეგალურად შემოტანილი წიგნების სახით.

საბრალდებო დასკვნის წაკითხვა დამთავრდა.

თავმჯდომარის კითხვაზე, ცნობენ თუ არა თავს დამნაშავედ, სინიავსკიმ და დანიელმა უარყოფითად უპასუხეს, თუმცა წინასწარი გამოძიების დროს როგორც ერთმა ისე მეორემ თავი დამნაშავედ ცნეს. მაგ. მარალია უარყოფს, რომ ქონდათ განზრახული გაეგზავნათ ანტისაბჭოთა პროპაგანდა, მაგრამ აბსოლუტურ ალიარებს, რომ მათი ნაწარმოებები შეიძლება გამოეყენებინათ და იყენებდნენ კიდეც ჩვენი ქვეყნის საზიანოდ. ახლა ისინი ყველაფერს უარყოფენ. მაგრამ მათი მტრული პოზიცია საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიურ ცხოვრებაში და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში, როგორც საბრალდებო დასკვნაშია ნათქვამი, საკმაოდ დასტურდება არა მარტო საზღვარგარეთ გამოცემული მათი ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური ნაწარმოებების შინაარსით, არამედ მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, ნივთიერი მტკიცებულებებით.

სასამართლო იწყებს განსასჯელთა დაკითხვას.

დანიელისა და სინიავსკის ბუნება უფრო სრულად ვლინდება, როცა სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრების, სახელმწიფო ბრალმდებლის კითხვებზე უპასუხებენ. განსასჯელნი ხშირად თავს არიდებენ პირდაპირ პასუხს, თავის დაძვრენას ცდილობენ. დაკითხვის დროს მოიყვანეს ციტატები მათი წიგნებიდან. და ნათელი ხდება, რომ დანიელი და სინიავსკი ბოლოამდე თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის წმიდათა წმიდა ცნებებსა და იდეალებს.

როგორც კიდევ ერთხელ მოწმობს სასამართლო გარჩევა, განსასჯელთა ნაწარმოებები გამოიყენეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა. მაგრამ, მაგალითად, დანიელი ცდილობს მიჩქმალოს საზღვარგარეთ გამოსაყენებლად გაგზავნილი ნაწერების პოლიტიკური ხასიათი. ისე კი ძალუძლეულია აღიაროს, რომ „მისი შემოქმედება“ გამოყენებული იყო ანტისაბჭოთა მიზნით, იგი დაუსრულებლად ამტკიცებს, რომ „ეს არ უნდოდა“, რომ ახლა „ნანობს ამას“.

სასამართლო გარჩევა მოწმობს დანიელისა და სინიავსკის ზრახვებისა და მოქმედების დანაშაულებრივობას.

11 თებერვალს სასამართლო განაგრძობს საქმის მოსმენას.

თბილისის ექვენება

გულის კარნახით

თბილისის მეტროს მნახველთა მისალოცი წერილები ყოველდღე მოდის რედაქციაში. გულის კარნახით დაწერილ სტრიქონებში გამოთქმულია კმაყოფილებისა და აღტაცების ღრმა გრძნობა. წერილის ყველა ავტორი ქებით იხსენიებს იმათ მადლიან მარჯვენას, ვინც მთელი ენერგია და გამოცდილება უკლებლივ მოახმარა მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებლობას, მადლობს უხდიან ლენინურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ადამიანის კეთილდღეობისათვის შეუწყვეტელი ზრუნვისათვის.

თბილისში მცხოვრები პენსიონერი ი. ლომშიძე რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერს:

— მეტრო ბეგრგან შინახავს, პარიზში, ნიუ-იორკში, ლონდონში, ჩიკაგოსა და ფილადელფიაში. მაგრი ნახვიისას მინატრია, ნეტავი ჩემს სამშობლო დედაქალაქში — თბილისში მოვესხრებოდე მიწისქვეშა მატარებელს-მეთქი. ეს იყო თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, ახლა 84 წლის მოხეცი-ბებერი ვარ, რომ ნანატრი შემისრულდა. აღტაცებას ვერ მგალავ. მახარებს თბილისის გმირამშენებლთა ნამოვლაური და ნამოძღვარი — ასე ამოავრეს თავის წერილს ღვაწლმოსილი მოხუცი.

ჩვენს წინაშეა ჭიათურელი სამთოელის შ. ბრეგბაკის სიხარულის განცდით დაწერილი სტრიქონები. მას პირველ ღღეს დაუთვალიერებია თბილისის მეტროპოლიტენი.

აი რას წერს იგი: ჭიათურის მიწისქვეშა გვირაბებში დაბადებულს არ მგონია, რომ თბილისს მეტროპოლიტენი ასეთ სიამეს „მომანიჭებდა: რა დიდებული ნახილავია, მადლიანი მარჯვენის ნაოსტატარი! სათოფილს თვალით გაგსინჯე ნაგებობა და მოწყობილობა და ჩემთვის ნათელი გახდა ის სიძნელეები, რაც მიწისქვეშეთს ქანებთან ბრძოლაში და ყოლის ნაკადების დაოკებაში გადალახნეს თბილისის გვირაბმშენებლებმა. გადაიტანეს და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვეს.

„შეეხარით ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეს“ — ასეთი სათაური აქვს ცაგერის რაიონის ლუხვნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტ. ლეთოდიანის წერილს, სადაც იგი გადმოგვცემს თბილისის მეტროს ამშენებელთა გამოწვეულ სიხარულს.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საბჭოთა არმიაში მყოფი ქართველი მებრძოლები ა. ბედიაშვილი, რ. ბაკანაძე, მ. ბიაშვილი და ბ. პასსიაშვილი, რომლებსაც თბილისის მეტროპოლიტენის გახსნა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გაუგიათ, აღფრთოვანებას გამოთქვამენ მეტროს ამუშავების გამო და ულოცავენ ქართველ ხალხს ამ დიდ საჩუქარს. აი რას წერენ ისინი:

— დიდად გაგვაჯარა საქართველოს დაჯილდოებამ ლენინის ორდენით. ამ სიხარულს კვლავ მეორე მოყყვა. გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით შევიტყეთ თბილისის მეტროპოლიტენის ამუშავება. ამ ზეიმის ჟამს თქვენთან ვართ, ძმირფასო თანამემამულენო! პირობას ვდებთ პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ვალი საშობლოს წინაშე. ვასახელებთ ორგზის ლენინის ორდენოსან საქართველოს, მის ხალხს.

თბილისის მეტროპოლიტენის ამუშავებით გამოწვეული სიხარულისა და აღფრთოვანების გრძნობები ჩაეკოოვეს თავიანთ წერილებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტმა თ. ბორცვაძემ, ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის სამუალო სკოლის მოსწავლემ ლ. თანდილაშვილმა, სოხუმელმა მასწავლებელმა ბ. მამონიაშვილმა, საჩხერის რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების“ რედაქციის მუშამა ა. აბაშინაძემ, ქუთაისელმა პენსიონერმა ა. ჩიქვინიძემ, მახარაის რაიონის კონჭკათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. კოსტაპამ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ჯაბუშმ, კოლმეურნეებმა ნ. მშვენიაშ, ა. სირომძემ და ტუღუშმა და მრავალმა სხვამ. ყოველი სტრიქონი აღსავსეა ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი სახელოვანი მშენებლებისადმი მადლიერებისა და კმაყოფილების ღრმა გრძნობით.

თბილისის მეტროპოლიტენი სათუთ მოვლას საჭიროებს, უნდა გაეუფრთხილდეთ მის ყოველ ნაწილს, ესკალატორის თვითეულ საფეხურს — ეს მეზობრთა პირდაპირი მოვალეობაა. სწორედ ამაზე წერს თავის წერილში თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ ქვეოსტატი ვ. მამანწიშვილი და მოუწოდებს ყველას, ვინც კი მეტროთი ისარგებლებს, თვალისჩინივით მოუაროს ამ ძვირფას შენაძენს.



იუბილარი პედაგოგი

ცაგერი. (საკ. კორ.), ამ დღეებში ჩხუტელის საშუალო სკოლაში უჩვეულო გამოცოცხლება იყო. სასკოლო კლუბის დარბაზში 400-მდე მოსწავლემ, მასწავლებლებმა და მშობლებმა მოიყარა თავი. აქ იუბილეს უხდიდნენ ღვაწლმოსილ პედაგოგს მარიამ ჩარკვიანს.

იუბილარის ცხოვრებასა და 30 წლის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე დამსწრეთ მოუთხრო სკოლის დირექტორმა ბ. ქარსელაძემ.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა იმ საღამოს თმაშეეერცხლილი პედაგოგის ვ. ჩარკვიანის მისამართით.

ავსტრალიიდან ახალ ზელანდიამდე

კანბერა, 10 თებერვალი. (საკდესი). ავსტრალიის ქალაქ ბრისბენის (კვინსლენდის შტატი) მცხოვრებმა, 27 წლის ელექტრიკოსმა ბრენნიგენმა იალქნიანი კანოთი გადალახა ტასმანის ზღვა. ავსტრალიის ნაპირებიდან ახალ ზელანდიამდე (ქალაქ ოკლენდამდე) მანძილი 3 ათასი კილომეტრი. მან 42 დღეში გაიარა.

სქიზანდრინი

ლიმონურას, რომელიც ჩვენი ქვეყნის შორეულ აღმოსავლეთში იზრდება, ნამდვილ ლიმონებზე თვისება აქვს. იგი ადამიანს დაღლილობას უმარვებს, ხოლო ძალებს შემდეგ დებრეწილის მდგომარეობა არ დგება. მის მოქმედებას ორგანიზმი არ ეჩვევა. მედიკებმა გამოარკვიეს, რომ ლიმონურათა ზოგიერთი ნეიროუული და ფსიქიური დაავადების მკურნალობა შეიძლება.

შორეულადმოსავლეთელმა მხარეთმცოდნემ დიმიტრი ბალანდინმა ლიმონურას წვნიდან გამოჰყო თხუთმეტი გრამი წყალში უხსნადი თეთრი ფხვნილი. მაგრამ ახალი ნივთიერების შემადგენლობა ვერ გამოარკვია. ეს გააკეთეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ანატოლი ხორლინმა, ნიკოლოზ კოჩეტკოვმა, ოლგა ჩიჟოვმა, ბალანდინის თხუთმეტმა გრამმა მათ შესაძლებლობა მისცა არა მარტო დაედგინათ ლიმონურას ექსტრაქტის ქიმიური ფორმულა, არამედ დეტალურადაც შეემუშავებინათ მისი მიღების წესი; ამ ნივთიერებას მათ სქიზანდრინი დაარქვეს — თვით ლიმონურას ლათინური სახელწოდების მიხედვით.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲣᲖᲘᲙ-ᲰᲝᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

გვესტუმრა მოსკოვის **მუზიკ-ჰოლი** 110 მსახიობის შემადგენლობით. მოსკოველები კონცერტებს გამართავენ ოთხმეტიდან ოც თებერვლამდე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მუზიკ-ჰოლის მრავალფეროვანი პროგრამის ტექსტის ავტორები არიან ვ. დიხოვიჩნი და მ. ხლობდსკოი. მუსიკა სპექტაკლისათვის დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა მ. ბლანტერმა. დადგმა უკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. კონიკოვს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ბ. კნობლოკს.

თბილისელები ნახავენ ქალთა საესტრადო ციკვის ანსამბლ „რადუგას“ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ხოლფინის ხელმძღვანელობით, მოუსმენენ საესტრადო ორკესტრს ვ. რუბაშევსკის დირიჟორობით.

ესტრადის მოყვარულები გაეცნობიან კონფერანსიე ა. ბელოვს და მსახიობებს ლ. შიმელოვს, ვ. ვასილიევს, ლ. ბერლინს, ესტრადის მსახიობთა სრულიად რუსეთის კონკურსის laureატებს ბორის და ვლადიმერ ვორონინებს, სერგეი და ტატიანა საველიევებს, გენადი პოპოვს, მოუსმენენ რუმინელ მომღერლებს აიდა მოგასა და ჯორჯე ბუნიას.

მოსკოვის მუზიკ-ჰოლი გვიჩვენებს სპექტაკლ „ტოკატაკს“, რომელსაც ტაშს უკრავდნენ საფრანგეთი, კანადა, ჰოლანდია, ბელგია.

* * *

სურათზე: მოსკოვის მუზიკ-ჰოლის მსახიობები თბილისის ვაგზალში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲪᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲩᲐᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ

რიო-დე-ჟანეირო, 10 თებერვალი. (საკდესი). ოთხშაბათს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეხვდა ბრაზილიის მინას-ჟერაისის შტატის „უბერლანდის“ გუნდს და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 2:0. გოლები პირველ ტაიმში გაიტანეს **კოპაევმა** და **მალაფეევმა.**

სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით — **კაპაზაშვილი, კონონარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, ბეზმალნოვი, ეორონინი, ჯუსაინოვი, მეტრეველი, ივანოვი (მალაფეევი), საგო (კოპაევი), ჩისლენკო.**

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲨᲘ

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის XXVIII პირველობის გათამაშების დებულება და „ა“ კლასის გუნდებისათვის პირველი წრის მატჩების კალენდარი.

აპრილში გაიმართება შემდეგი მატჩები:

10 აპრილს: „ნეფტიანიკი“ — „დინამო (მინსკი), „არარატი“ — „კრილია სოვეტოვი“, „ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „კაირატი“ — „ცსკა, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი). „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), „შახტიორი“ — სკა (დონის როსტოვი);

15 აპრილს: „ნეფტიანიკი“ — „კრილია სოვეტოვი“, „არარატი“ — „დინამო“ (მინსკი), „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“, „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „პახტაკორი“ — „კაირატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „ცსკა (მოსკოვი), „შახტიორი“ — სკა (დონის როსტოვი);

20 აპრილს: „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „არარატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი), „პახტაკორი“ — „ზენიტი“, „კაირატი“ — „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). „დინამო“ (თბილისი) — ცსკა, „შახტიორი“ — „სპარტაკი“ (მოსკოვი);

21 აპრილს: „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „არარატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი), „პახტაკორი“ — „ზენიტი“, „კაირატი“ — „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). „დინამო“ (თბილისი) — ცსკა, „შახტიორი“ — „სპარტაკი“ (მოსკოვი);

26 აპრილს: „ნეფტიანიკი“ — „შახტიორი“, „დინამო“ (კიევი) — „კრილია სოვეტოვი“, „პახტაკორი“ — „დინამო“ (მინსკი), „კაირატი“ — „ზენიტი“, „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), სკა (ოდესა) — „არარატი“, სკა (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა;

27 აპრილს: „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

ᲝᲪᲓᲐᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲗᲝᲕᲚᲨᲘ

ოცდაორი დღე ეშიმშილა პატარა მიალკამ. მან ეს დღეები თოვლის ტყეებში გაატარა, ხოლო როცა ორმეტრიანი ნამქერიდან ამოიყვანეს, სიხარულით კეთდა კი გაქრა.

დიახ, მიალკა გოშიაა, იგი მოლდავეთში კოლმეურნეობა „გაგარინის“ მექანიზატორთა დაბაში ცხოვრობს. იანვარში, როცა მოლდავეთს ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა, მიალკა დაიკარგა. ტრაქტორისტებმა ბევრი ეძებეს იგი, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს, და აი სამი კვირის შემდეგ მემთხვევით წაწყდნენ მას თოვლში ჩაფლული სათესის ამოორავების დროს.

მოლდაველმა ფიზიოლოგმა პროფესორმა ა. ზუბკოვმა ამ შემთხვევის გამო თქვა, რომ ადამიანს, საუკეთესოდ, ცხელ ადგილას, ხუთ დღეს ძალუძს ყოფნა. ეს ბავშვი ალბათ ბედნიერი ბავშვია, ამბობენ ექიმები, ალბათ ბედნიერ ბავშვებს ეხმარებიან ადამიანები.

ᲡᲪᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ამოიჯარა ევროპის ფეხბურთელთა პირველ ჩემპიონატში მინაწილეობისათვის განაცხადების მიღების ეტაპი. ჩემპიონატში გამართვადი 1968 წლის ივლისში გამოვლინდება. ევროპის ფეხბურთელთა ასოციაციის კავშირის „ბიულეტენი“-ით ეს ახალი შეჯიბრება ბეცელის ევროპის თასის გამამაშებას.

კონტინენტის პირველობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს 31 ქვეყნის გუნდებმა. ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ავსტრია, ინგლისი, ბელგია, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, ჰოლანდია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, „რუმინეთი, ჩრდილოეთი ირლანდია, სსრ კავშირი, თურქეთი, შვეიცარია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, შოტლანდია, შვეიცარია და იუგოსლავია.

23 თებერვალს (ციურიხში მოეწყობა კენჭისყრა, რის შემდეგ ცნობილი გახდება შესარჩევი ჯგუფის მონაწილე გუნდების სახელები. ჩემპიონატის პირველი ეტაპია 1966 წლის 1 აგვისტო — 1968 წლის 27 თებერვალი.

მეოთხეფინალური მატჩების გამართვა გათვალისწინებულია 1 მარტიდან 15 მაისამდე, ოთხი უძლიერესის ტურნირი (ალბათ ოლიმპიური სისტემით), მოეწყობა 1968 წლის ივნის-ივლისში.

(საკდესი).

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

გუშინ ბაკურიანში დამთავრდა საქართველოს ზამთრის მერვე სპარტაკიადა.

ქალთა სათხილამურო დადარბეზაში 10 კილომეტრზე უძლიერესი იყო ბ. ძმბბს, ვაკთა შორის 50 კილომეტრის გადარბენაში ალიმარჯვა ნ. ბერიშვილმა.

ორმოცდელთა ბაქენრობაში პირველობა მოიპოვა ბ. თმაშერი, მეორე ადგილზე გამოვიდა შ. ოსპაური, ორმოცდაათ შესრულა სპორტის ოსტატის ნორმა. როგორც მოსალოდნელი იყო სწრაფდამვებაში გაიმარჯვეს ლ. ბერიშვილმ და მ. აბრამიშვილმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ჯგუფიდან წარმატება თბილისელებს ხვდათ. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა.

◆

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐᲖᲔ

გუშინ იტალიის ჩრდილოეთ ქალაქებში გრძელდებოდა უნივერსიადა. კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ჰოკეისტები. ამჯერად მათ დაამარცხეს რუმინეთის გუნდი 9:6. საათხილამურო ესტაფეტაში ვაუთათვის 4×10 კილომეტრზე ჩვენი სპორტსმენები პირველები იყვნენ. ქალთა ესტ